

სექსუალური შევიწროვება, როგორც დისკრიმინაციის ფორმა შრომითი
ურთიერთობის პროცესში

სოფიო ღვინიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ერეკლე კალატოზიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო ღვინიაშვილი

15/05/2022

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდის სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს ბატონ ერეკლე კალატოზიშვილს, რომელიც კვლევის თითოეულ ეტაპზე აქტიურად იყო ჩართული და მეხმარებოდა შესაბამისი უკუკავშირით.

აბსტრაქტი

ადამიანის უფლებების ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს გენდერული თანასწორობა წარმოადგენს. თანამედროვე სამყაროს ცნობიერება მივიდა იმ აზრამდე, რომ პლურალიზმი (ნებისმიერი თვალსაზრისით) კაცობრიობის მონაპოვარია და აუცილებელია, ყველასათვის თანაბარი უფლებები იყოს გარანტირებული.

წინამდებარე კვლევა ეხება შრომითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ამასთან, პრობლემურ საკითხს- სექსუალურ შევიწროვებას შრომით ურთიერთობებში.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საკანონმდებლო ხარვეზების არსებობის დადგენა სექსუალური შევიწროვების რეგულირების მიმართულებით და პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება. ამასთან, კვლევის მიზანია, ჩამოაყალიბოს რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს სექსუალური შევიწროვების, როგორც გენდერული დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმის აღმოფხვრას შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში.

ზემოთ აღნიშნული მიზნის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია კვლევის აღწერითი, შედარებითი სამართლებრივი, გრამატიკული განმარტებისა და ისტორიულ-სამართლებრივ მეთოდები. აღნიშნული მეთოდების გამოყენების საჭიროება დადგა სექსუალური შევიწროვების ცნების განსაზღვრისა და მისი მნიშვნელობის დადგენის მიზნით; გარდა ამისა, ისტორიულ-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით, შესაძლებელი გახდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების მოხმობა კვლევის პროცესში და მათი ნორმატიული სისტემის შესწავლა.

ჩატარებული კვლევის ანალიზმა ცხადყო, რომ სექსუალური შევიწროვება, როგორც გენდერული დისკრიმინაციის ფორმა, საკმაოდ გავრცელებულია შრომითი ურთიერთობების ასპექტში. გარდა ამისა, ნათელი გახდა მწირი სასამართლო პრაქტიკის არსებობის გამომწვევი მიზეზები და საკანონმდებლო რეგულირების პრობლემაც. აღნიშნული პრობლემების გადაჭრის მიზნით, მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში

ცვლილებების განხორციელება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მუშაობა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სექსუალური შევიწროვება, გენდერული დისკრიმინაცია, საკანონმდებლო რეგულირება, ცნობიერების ამაღლება

Abstract

Gender equality is one of the fundamental principles of human rights. The consciousness of the modern world has come to the conclusion that pluralism (in any sense) is the achievement of humanity and it is essential that equal rights be guaranteed for all.

This study addresses one of the most important and problematic issues in labor law - sexual harassment in labor relations.

The aim of the research is to identify the existence of legislative gaps in the regulation of sexual harassment and to find ways to solve the problem. In addition, the aim of the study is to formulate recommendations that will help eliminate sexual harassment as one of the forms of gender discrimination in labor relations.

Descriptive, comparative legal, grammatical and historical-legal methods of research are used to achieve the above goal. The use of these methods is necessary to define the concept of sexual harassment and its meaning; In addition, using the historical-legal method, it became possible to refer to the practical experience of different countries in the research process and study their normative system.

The analysis of the conducted research revealed that sexual harassment, as a form of gender discrimination, is quite common in labor relations. In addition, it became clear why court decisions are so few and that we face the problem of legislative regulation. In order to solve these problems, it is important to implement changes in the legislation and work to raise public awareness.

Keywords: Sexual Harassment, Gender Discrimination, Legislation, Awareness Raising